ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01191513905**
თარიღი: **31/05/2019**
პინი: **6862**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 23 მაისის №60-01191432278 წერილი და AR1660725 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე ოთარ ხოფერიას მომართვის საფუძველზე, შპს „სამშენებლო ინვესტიციების“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქალაქ თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, II მიკრო/რაიონი, V კვარტალი, კორპუსი 5 მიმდებარედ ს.კ. #01.14.01.002.058) (სზ-6) III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია, საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა შენობის განთავსების სქემით და მასზე მწვანე ნარგავებით, ფოტოსურათები, გამწვანების პროექტი) გაცნობებთ, რომ ვინაიდან 5 ძირი დიდტანოვანი ვერხვის ხე (#25-38.2სმ, #27-36.6სმ, 28-38.2სმ, #31-30.3სმ, #32-41.4სმ) განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე და აფერხებს დაგეგმილი პროექტის განხორციელებას, მათი გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, წარმოდგენილია გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" მე-2 თავის 21-ე და 21^1-ე მუხლების საფუძველზე, სამსახური თანახმაა გასცეს ხეების იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვის ნებართვა მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას და წარმოადგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

აქვე მოგახსენებთ, რომ სამსახურმა 2019 წლის 5 აპრილის #18-01190954476 წერილით დააფიქსირა პოზიცია ნაწილი მწვანე ნარგავების მოჭრაზე/გადარგვაზე.

რაც შეეხება წარმოდგენილ გამწვანების პროექტს, სამსახური მასზე იმსჯელებს და დააფიქსირებს პოზიციას არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური

